ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N22

ქ.ზუგდიდი **20 სექტემბერი 2023 წელი**
14:00 სთ

2023 წლის 20 სექტემბერს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გიორგი სორდია.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი სორდია, გიგა ფარულავა, ირაკლი გოგოხია, თაზო ფაცაცია, კახაბერ ჩანგელია, ოთარ ქადარია, დავით ფიფია, გიორგი კორტავა, დავით ვეკუა, ლაშა ბეჭვაია, ბეჟან შანავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: თამუნა ჯიქია, ჯონი ჯიქია, სოსო გოგოხია, დარეჯან გაბედავა, მაია კალანდია(შვებულება).

სხდომას ასევე ესწრებოდა: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი; **ბელა მოსია-** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; **სანდრო სორდია-** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე; **ეკატერინე კიფაია-**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე; **ირაკლი სორდია-** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი .....

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 16 წევრიდან 11 წევრი.
კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი, ზ.გამსახურდიას გამზირზე მდებარე 10740,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 4,0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით ფ/პ ..... გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე 383,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების (მუყაოს ქაღალდის) ელექტრონული აუქციონის (უპირობო) ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრისათვის“ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი

4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) ანგარიშების მოსმენების შედეგების შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა დღის წესრიგს მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **პირველ საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 12 სექტემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242325553 მომართვა (რეგისტრაციის N12-25232554-25 12.09.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი, ზ.გამსახურდიას გამზირზე მდებარე 10740,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 4,0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით ფ/პ ლ.ა. გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის “დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი

საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 12 სექტემბრის N24-242325553 წერილის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქი ზუგდიდი, ზ.გამსახურდიას გამზირზე მდებარე 10740,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N43.31.49.640) 4,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გასცეს ფ/პ ..... სარგებლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით. საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვროს 1920 (ათას ცხრაას ოცი) ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განმარტა: „ეს არის ფოსტის გვერდზე არსებული მიწის ნაკვეთი, სადაც იყიდება პრესა, რომელიც წლების განმავლობაში მოუწესრიგებელი იყო. ფიზიკურ პირს ჯიხურის მაკეტიც წარმოდგენილი აქვს და ცივილური ფორმით გააგრძელებს თავის საქმიანობას.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი წინადადებები ან შენიშვნები პირველ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი, ზ.გამსახურდიას გამზირზე მდებარე 10740,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 4,0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით ფ/პ ..... გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეორე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 13 სექტემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423256158 მომართვა (რეგისტრაციის N12-25232568-25 13.09.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე 383,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 108-ე მუხლის, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 23 აგვისტოს N5/46156 წერილის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 13 სექტემბრის N24-2423256158 წერილის შესაბამისად, გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, შემდგომში ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემისა და მიწის ნაკვეთზე ამბულატორიის შენობის განთავსების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის

ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 383,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N43.30.47.207).

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი წინადადებები ან შენიშვნები მეორე საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელიამ აღნიშნა: „ბატონო ლაშა, ამ თემასთან დაკავშირებით გთხოვთ უფრო დეტალური ინფორმაცია მოგვაწოდოთ.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განმარტა: „როგორც გახსოვთ, შარშან, 2022 წელს, დეკემბრის თვეში უზუფრუქტითაც გადავეცით აღნიშულ ჰოლდინგს 5 მიწის ნაკვეთი ამბულატორიის აშენების მიზნით. ჰოლდინგმა დამატებით სახსრები მოიძია და სადაც უზუფრუქტით არის ქონებები გადაცემული და იმ შენობებში თითო ოთახები სადაც აქვს, როგორიც არის ანაკლია, დარჩელი და სხვა სოფლები, ამ სოფლებში გაფართოების მიზნით თვითონ დაიწყო ახალი თანამედროვე ამბულატორიების მშენებლობა. ერთერთი არის ანაკლია, ასევე იქნება ახალსოფელში, ახალკახათში, კორცხელში სადაც გადაცემული გვაქვს უზუფრუქტით ფართები, მიუხედავად ამისა იქნება ახალი შენობები. რუხში არ იქნება ამბულატორია, რადგან ამბულატორია გადასულია რუხის საავადმყოფოში, ხოლო გადაცემულ მიწის ნაკვეთს ვიბრუნებთ უკან.“

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე 383,00კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მესამე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 13 სექტემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423256160 მომართვა (რეგისტრაციის N12-25232569-25 13.09.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების (მუყაოს ქაღალდის) ელექტრონული აუქციონის (უპირობო) ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრისათვის“ (ს/ნ 220415414) თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ ქვეპუნქტის, 115-ე მუხლის პირველი პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 35-ე მუხლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის

დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის N94 დადგენილების მე-7 მუხლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმის (N14, 12.09.2023წ) და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 13 სექტემბრის N24-2423256160 წერილის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრს“, მის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების (მუყაოს ქაღალდი) ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას ერთი კგ. მუყაოს ქაღალდის საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობა განისაზღვროს 0,17 ლარით.

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განმარტა: „მოგახსენებთ თუ რა მოხდა და რატომ შემოვდივართ საწყის საპრივატიზებო საფასურზე- 0,17 ლარზე. წინა ორ შემთხვევაში ჯერ იყო საკრებულოს მიერ დადგენილი 0.35 ლარი (მერიის მხრდიდან შემოსული განკარგულების პროექტის საფუძველზე), შემდეგ მერია შემოვიდა ფასის დაკლებაზე. როგორც გაირკვა არსებობს ორი სახის მუყაო შავი და თეთრი. 0.35 ლარი არის თეთრი მუყაოს ფასი, ხოლო მუყაოს, რასაც დასუფთავების სამსახური აგროვებს არის შავი მუყაო და შესაბამისად ფასიც ნაკლებია. ახლა ხდება ამ გაუგებრობის და ხარვეზის გასწორება. აუდიტმა ხელახალი შეფასების შედეგად დაადგინა შავი მუყაოს საწყისი საპრივატიზებო ფასი- 0,17 ლარი.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი წინადადებები ან შენიშვნები მესამე საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე

კენჭისყრის შედეგად საკითხზე

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების (მუყაოს ქაღალდის) ელექტრონული აუქციონის (უპირობო) ფორმით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრისათვის“ (ს/ნ 220415414) თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეოთხე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) ანგარიშების მოსმენების შედეგების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, რომ მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) ანაგრიშების მოსმენების შედეგები კომისიის ყველა წევრს გადაეგზავნა გაცნობის, მათი შენიშვნების, წინადადებების და რეკომენდაციების წარმოდგენის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი წინადადებები ან შენიშვნები მეოთხე საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: სანდრო სორდიამ განაცხადა (სათათბირო ხმის უფლებით): „აღნიშნული დოკუმენტის განხილვას იურიდიულ კომისიაზე, რომლის წევრიც ვარ გარკვეული მიზეზების გამო ვერ ვესწრებოდი და დღეს მოგახსენებთ ჩემს პოზიციას. აღწერილობით ნაწილში არის საუბარი იმაზე, რომ წინა საკრებულომ დაამტკიცა ბიუჯეტის პროექტი დაჩქარებული წესით. ეს, რა თქმა უნდა არის შეფასებითი კატეგორია. ვიღაცისთვის შეიძლება იყო დაჩქარებული, მაგრამ სასამართლოს აქვს სამართლებრივად შეფასებული, რომ კანონით დადგენილ ვადებში იყო ბიუჯეტი მიღებული.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ განაცხადა: „ამაზე არც ვდაობთ და სხვათაშორის მე ვიყავი ამ დროს მოპასუხე მხარე ფრაქცია „ნაციონალურ მოძრაობასთან“ სასამართლოში (ახალი საკრებულოს არჩევის შემდეგ).“

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ განაცხადა: „რატომ მოხდა ბატონო სანდრო დაჩქარებული წესით ბიუჯეტის მიღება?“

აზრი გამოთქვეს: სანდრო სორდიამ განაცხადა: „სწორედ იმას ვამბობ რომ არ მომხდარა დაჩქარებული წესით ბიუჯეტის მიღება. ეს პოლიტიკური შეფასებაა და არა სამართლებრივი. მეორე საკითხი, რასაც მინდა შევეხო ეს არის ტერმინოლოგია -აღმასრულებელი ორგანო არის მერია და დავაზუსტოთ აღმასრულებელი ორგანო არის მერი და ამას პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს.“

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „გუშინდელ განხილვაზე ვთქვი და ახლად განვმეორდები, ინვესტიციასთან დაკავშირებით პასუხმა დამაკმაყოფილა, მაგრამ ჩაწერა ცოტა სხვანაირად მოხდეს. ანგარიშში აღნიშნულია „მერიამ, შესაბამისმა სამსახურებმა გადადგან ქმედითი ნაბიჯები ბიუჯეტით დაგეგმილი შემოსავლების შესრულების თვალსაზრისით. აწარმოონ აქტიური კამპანია ინვესტიციების მოზიდვისა და ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების მიზნით” აქ სხვანაირად მოხდეს ჩაწერა და არა ასე მშრალად. სხვა შენიშნვნა არ მაქვს.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ განმარტა: „კი ბატონო, მოგვაწოდეთ კონკრეტული ფორმულირება და ჩავასწოროთ. გუშინდელი კომისიის სხდომაზე ქალბატონი ეკატერინეს შენიშვნა გათვალისწინებულია.“

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაციამ აღნიშნა: „ბატონო გიგა, ინვესტიციის მოზიდვასთან დაკავშირებით კონკრეტულად რა ტიპის ინვესტიციაზე გაქვთ ორიენტაცია აღებული.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ განაცხადა: „ამ წელს რაც გვქონდა, მაგალითად „თეგეტა მოტორსის“ ინვესტიცია და მსგავსი სხვაც. ჩათვალეთ რომ ეს არის ნამდვილად დადებითი ინვესტიცია. “

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაციამ განაცხადა: „რეკომენდაცია კარგია, მაგრამ შენიშვნის სახით რომ არ იყოს ფორმულირება ამ ანგარიშში კარგი იქნება. ერთერთი პუნქტია, სადაც საუბარია საინვესიტიციო გარემოების გაუმჯობესებაზე. იქ ქვეტექსტში იკითხება, რომ იმდენად ქმედითუნარიანი მიდგომა არ იყო, რომ უფრო მეტი ინვესტიციის მოზიდვა შეიძლებოდა და ა.შ. ეს არის არასწორი და მოგახსენებთ თუ რატომ ვფიქრობ ასე. მოგეხსენებათ, რომ ევროპის განვითარების ფონდმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ნახევარ მილიონზე მეტი ჩადო კულტურული სტატეგიის მიმართულებით. ესეც ერთერთი უდიდესი ინვესტიციაა, რომელსაც ჩვენ თვითონ განვავითარებთ და განვახორციელებთ, როგორც განათლების მიმართულებით, ასევე კულტურის და სამეცნიერო მიმართულებით. ეს ძალიან დიდი მიღწევაა, თქვენ როგორც აღნიშნეთ ესეც ძალიან დიდი მიღწევაა „თეგეტა მოტორსთან“ დაკავშირებით. ზუგდიდი ძალიან მრავალფეროვანი შეიძლება გავხადოთ ამ მიმართულებით. ნელნელა მოძრაობა მიდის და ამ მიმართულებით მუშაობა რომ არ მიდის და ინვესტიცია არ მოუზიდია მერიას ვერ ვიტყვით. მაშინ არგუმენტად ისიც უნდა დავდოთ რომელმა მუნიციპალიტეტმა მოიზიდა და რომლის მაგალითითაც შეიძლებოდა განვითარებულიყავით კონკრეტულად ამ მიმართულებით. ასე რომ, მე ვფიქრობ ზუგდიდი სამაგალითოა, თუნდაც იმ მიმართულებით, რასაც ვამბობდით ნარჩენების სეპარაციასთან დაკავშირებით. ორი მუნიციპალიტეტია საქართველოში და ამაზე მგფ-საც აქვს გაკეთებული ძალიან კარგი ვიდეორგოლი. ესეც ერთერთი საინვესტიციო გარემოა. ჩვენ ახლა ვყიდით სეპარაციის პროდუქტს, მაგრამ მომავალში შეიძლება ვინმე დაინტერესდეს და შეისყიდოს დასუფთავების მომსახურეობა. ყოველშემთხვევაში ამის ველი და მზაობა, იმისა რომ შეიძინოს და განავითაროს ამის არსებობს კონკრეტულად სეპარაციასთან და დასუფთავებასთან დაკავშირებით.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ განაცხადა: „როდესაც ჩვენ ინვესტიციებზე ვსაუბრობთ, თქვენ ალბათ არ ესწრებოდით წინა სხდომებს და კიდევ ერთხელ ვიტყვი, ეს შენიშვნა მითითებულია კონკრეტული პუნქტის ქვევით დასკვნის სახით, სადაც ჩვენ კონკრეტული მაგალითების დონეზე გვაქვს მოცემული, როდესაც მუნიციპალიტეტი გეგმავდა კონკრეტული მიმართულებით 3 000 000(სამიმილიონილარი) ლარის მიღებას და მიღებული აქვს 600 000(ექვსასიათასილარი) ლარი ეს მიუთითებს კონკრეტული სამსახურის არაეფექტურ საქმიანობას. კიდევ უფრო მეტს გეტყვით, აქ ბატონი კონსტანტინე კაკავა ესწრებოდა წინა შეხვედრას და თვითონ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს აქვს საინვესტიციო პორტფელი ან მარტივად რომ ვთქვათ საინვესტიციო ბუკლეტი, რომელიც შემუშავებულია 2020-2021 წლებში და მისი განახლება დღემდე მომხდარა. ამ მიმართულებით აქტიურად რომ მუშაობდეს შესაბამისი სამსახური, დღეს, ან თუნდაც თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ 2022 წელს მაინც განახლებული სახით უნდა ყოფილიყო ეს საინვესტიციო პორტფელი. როცა ჩვენ ყოველ წელს შეგვაქვს ცვლილებები უკვე დადგენილ საპრივატიზებო ნუსხასა და გეგმაში, მაშინაც ვთქვი და ახლაც აღვნიშნავ, საპრივატიზებო ნუსხა არის ერთერთი ის მიმართულება, სადაც ჩვენ შეგვიძლია საინვესტიციო მიმართულებით დავაინტერესოთ კერძო პირები. ახლა, რაც არ უნდა შევადაროთ ჩვენ გასულ წლებს და რაც არ უნდა მითხრათ მე „მაშინ რა გააკეთეთო“ დამერწმუნეთ 2020 წელს ვერანაირ ინვესტიციას ვერ მოიზიდავდა არა თუ მუნიციპალიტეტი, ზოგადად სახელმწიფო, იმიტომ რომ ყველას გვახსოვს 2020 წლის გამო იყო რომ გაჩერდა ის ინვესტიცია 7 000 000(შვილიმილიონილარი)ლარის ოდენობით, რაც ჩადებული იყო M²-ის მიერ. 2020 წელმა გამოიწვია ის უბედურება, თორემ დღეს სულ სხვა რეალობა გვექნებოდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, მაგრამ სამწუხაროდ ფაქტია, იყო ის, რასაც ვერავინ წინ ვერ აღუდგებოდა. შესაბამისად, ჩვენ როცა ვწერთ, რომ არ განუხორციელებია ეფექტური ნაბიჯები, ჩვენ მუნიციპალიტეტს ვერ შევადარებთ სხვა მუნიციპალიტეტს. კიდევ ერთხელ ვიტყვი და გეთანხმებით ჩვენი მუნიციპალიტეტი ბევრი სხვა მუნიციპალიტეტებთან მიმართებაში მანამდეც წინ იყო და ახლაც წინ არის ბევრი სხვადასხვა მიმართულებით ინფრასტრუქტურის, სოციალაური, ჯანდაცვის და სხვა მიმართულებით. მაგრამ, როდესაც ჩვენ ანგარიშებს ვისმენთ და ამ კონკრეტულ დოკუმენტს ვდებთ კიდევ ერთხელ ვიტყვი, ეს არ არის სადამსჯელო დოკუმენტი, ეს არის ის მიმართულებები, რომლებსაც სამსახურებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ. ჩვენ, როდესაც თუნდაც წლის დასაწყისში ვიწყებთ საბიუჯეტო წელს და ვამბობთ, რომ მარტივად არაფინანსური აქტივების კლებიდან გვინდა მივიღოთ 3 000 000(სამიმილიონილარი)ლარი შემოსავალი, სამსახურმა თუნდაც ერთხელ მაინც უნდა გააკეთოს დღევანდელ მოცემულობაში საჯარო შეხვედრა ინვესტორებთან, ბიზნესმენებთან თუნდაც ადგილობრივ დონეზე, მაშინ როდესაც ვამბობთ, რომ ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვაქვს, შევთავაზოთ რომელიმე კონკრეტულად მიწის ნაკვეთი, რომელსაც ვყიდით. ამაზეა აქ საუბარი, თორემ საერთაშორისო სავალუტო ფონდზე გავიდეს ეკონომიკის სამსახური და იქიდან მილიონობით ლარის ინვესტიცია შემოიტანოს ამაზე არ არის საუბარი. ხოლო რაც 2023 წელს მოიპოვებულ ინვესტიციების დადებით აქცენტებზე 2024 წლის წარმოდგენილი ანგარიშის დროს გვექნება საუბარი.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი კორტავამ აღნიშნა: „ბატონმა კონსტანტინემ იმაზეც ამომწურავად გვიპასუხა ახლა როგორ მიდის მუშაობა საინვესტიციო პაკეტის შექმნასთან, საერთო ბაზასთან დაკავშირებით.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „სწორედ მაგას ვამბობთ რომ ეს აღინიშნება შემდეგ ანგარიშში. ჩვენ 2022 წლის საქმიანობას ვეხებით. თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, (როდესაც ახალი გუნდი მოდის ყველა ახალ მერს თავისი შეხედულება და ხედვა აქვს მუნიციპალიტეტის განვითარების) საინვესტიციო პორტფელზე რომ ვსაუბრობთ კარგ იქნებოდა ამაზე უფრო ადრე დაწყებულიყო მუშაობა, წელს უკვე ფაქტიურად 9 თვე გასულია, ახალ ბიუჯეტზე უნდა დავიწყოთ მუშაობა და წელს გახსენდებათ თქვენ ერთი შეხვედრა ამ

მიმართულებით. მე არ მახსენდება ასეთი საჯარო შეხვედრა და თუ დახურულ კარს მიღმა იყო არ ვიცი, კი ბატონო იმასაც მივესალმებით თუ იყო ასეთი შეხვედრა.“

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ განაცხადა: „ჩვენ ძალიან ბევრ რაღაცაზე ვსაუბრობთ, მაგრამ შედეგამდე ვერ მივდივართ. მაგალითად ავიღოთ ანაკლია და ცაიში-ინვესტორი რომ მოვიზიდოთ ამისათვის ელემენტარულად საჭიროა ვიდეორგოლის შექმნა, რომ ინვესტორს ვითხრათ თუ რისთვის უნდა ჩადოს თანხა. ანაკლიასთან მიმართებაში გასაგებია ზღვისპირა ადგილია და ა.შ. მაგრამ იქაც სჭირდება თავისებური რეკლამა, თუმცა ინვესტორმა ხომ არ იცის ცაიში რა არის. ინვესტორი მოვა, ჩადებს თანხებს და ააშენებს სასტუმროებს ასე არ ხდება. მე არ ვამბობ რომ მარტო მერიამ იმუშაოს, ჩვენც უნდა ვიმუშაოთ. მაგრამ მერიამ რა თქმა უნდა უფრო მეტი უნდა გააკეთოს ამ მიმართულებით.“

აძრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „ერთს დავამატებ ინვესტიციებთან დაკავშირებით და ანაკლიასა და ცაიშზე იყო საუბარი. თქვენ კარგად იცით, როდესაც ქონების ეროვნული სააგენტო ჩვენ მუნიციპალიტეტში სახელმწიფოს ბალანსზე საკუთრებას ყიდის თანხმობისთვის, პოზიციის დასაფიქსირებლად მერიას უგზავნის წერილს. რამოდენიმე დღეა გამოვითხოვე ინფორმაცია წინა წელს ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გასხვისებული ქონებებზე რა შემთხვევაში მისცა თანხმობა მუნიციპალიტეტმა. ეს ინფორმაცია საკრებულოში არ შემოდის. ადგილობრივ დონეზე ჩვენ გვითანხმებენ, ხოლო ცენტრალურ დონეზე საკრებულოში არ შემოდის (ეს კანონმდებლობაშია გაწერილი). ერთ მაგალითს მოვიყვან-დმო-ს შემუშავებული აქვს ჩვენი ტურისტული რუკა, სადაც ერთერთი ლოკაცია არის ჭკადუაშში დადიანების შატო. აქ ქონების ეროვნულმა სააგენტომ შატოს მიმდებარე ერთერთი საუკეთესო ტერიტორია გაიტანა აუქციონზე (თუ არ ვცდები გაიყიდა უკვე) ყოველგვარი ვალდებულების გარეშე. წარმოიდგინეთ ტერიტორია შეტანილია ტურისტულ რუკაზე და ვალდებულების გარეშე გაიყიდა, სადაც რიგით მოქალაქეს შეუძლია ეს ქონება იყიდოს და ააშენოს მაგალითად კერძო სახლი ან ქონდეს საყანე ფართობი. ამ დამოკიდებულებაზეა საუბარი, თორემ რა თქმა უნდა მსგავსი ტიპის ტერიტორიები უნდა გაიყიდოს, ინვესტიცია უნდა ჩაიდოს. ამ შემთხვევაში გაყიდვა არ არის პრობლემა, მთავარია რა პირობებით ხდება გაყიდვა.“

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) ანგარიშების მოსმენების შედეგები შეფასდეს დადებითად და წარედგინოს ბიუროს დასამტკიცებლად.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა
და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ხელმოწერილია